

## კორექტირების პროექტი 26.08.2015 წ.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოგიდგენთ 2015 წლის ბიუჯეტს კორექტირებისთვის.

საქართველოს მთავრობის 07.09.2015 წლის #1881 განკარგულების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფისათვის შემოსულობებისა და ხარჯვითი ნაწილი მცირდება ტენდერებით გამოწვეული ეკონომიის ხარჯზე, თანხით -5576 ლარი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევს განახორციელოს ბიუჯეტის ცვლილება 58100 ლარით გარდამავალი ნაშთიდან

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფოსტო მომსახურებისთვის -1000 ლარი.
2. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის 2015 წლის 21 სექტემბრის #561-13 წერილის თანახმად, დამატებითი ფინანსირებისათვის 50000 ლარი ახალქალაქის სპორტული სკოლის ფეხბურთის გუნდ „აბული“-ს საქართველოს 2015 წლის ფეხბურთის პირველი წრის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.
3. საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი განაცხადების თანახმად, დამატებითი ფინანსირებისათვის 7100 ლარი ჩატარებული სანიტარული მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
  - საბავშვო ბაღი #3-1500 ლარი (წერილი #13/1238 20.07.2015წ.)
  - საბავშვო ბაღი #5- 5600 ლარი ( წერილი #13/1672 26.07.2015 წ, #469-13 26.08.2015წ. )

აგრეთვე, სომხური სამოციქულო ეკლესიის საერთო ეპარქიის 2015 წლის 24 ივლისის #13/1289 წერილის თანახმად, ბიუჯეტში ელექტროენერგიისათვის გათვალისწინებული თანხიდან 5000 ლარი გადატანილ იქნას დიზელის საწვავის შესაძენად, რადგან მოხდეს სოფლებში მდებარე ეკლესიების გათბობა, ვინაიდან აღნიშნული ეკლესიები არ არის ელ.ენერგიითა და გაზით უზრუნველყოფილი.

ცვლილების შემდეგ შემოსულობების ნაწილი შეადგენს -11 025 007 ლარს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი- 12 781 827 ლარს.

გარდამავალი ნაშთი შეადგენს- 41 144 ლარს.